



*5 იანვარი, 2015 წ.*

**საინფორმაციო ბიულეტენი**

**გახსნითი ღონისძიება  
თანამშრომლობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისთვის:  
სახელმწიფო ხარჯების სამოქალაქო მონიტორინგი საქართველოში**

2014 წლის 19 დეკემბერს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „პარტნიორობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისთვის: საქართველოში სახელმწიფო ხარჯების სამოქალაქო მონიტორინგი“ გახსნით ღონისძიებაზე დაინტერესებულ მხარეებს და მომავალ ბენეფიციარებს უმასპინძლა. პროექტი, რომელიც ფონდმა 2014 წლის 1 ნოემბერს დაიწყო, შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) მიერ არის თანადაფინანსებული და ქვეყანაში ბიუჯეტის გამჭვირვალობის გაუმჯობესებას და სახელმწიფო სახსრების ხარჯვაზე ანგარიშვალდებულების გაზრდას ისახავს მიზნად. ღონისძიებაზე სტუმრებს მიესალმნენ ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პრეზიდენტი, ქ-ნი ქეთევან ვაშაკიძე და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილე, ბ-ნი ბორის იაროშევიჩი. მათ ისაუბრეს ახალი პროექტის მნიშვნელობაზე საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოს მიერ ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში აღებული ვალდებულებების კონტექსტში. ხაზი გაესვა პროექტის დროულობას როგორც საბიუჯეტო სახსრების მონიტორინგის კუთხით ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერების, ისე ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და სახელმწიფო სახსრების ხარჯვაზე ანგარიშვალდებულების გაზრდის თვალსაზრისით. ბ-ნმა იაროშევიჩმა საბიუჯეტო პროცესების მკაცრი მონიტორინგის განხორციელების მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება (მაგ.: ფისკალური სანდოობა, სესხის დაბალი ღირებულება, კორუფციის რისკის მინიმუმამდე შემცირება) და დააფიქსირა ევროკავშირის მზაობა, ხელი შეუწყოს საქართველოში საბიუჯეტო პროცესების სამოქალაქო მონიტორინგის გაუმჯობესებას.

პროექტის დეტალებზე, მათ შორის დაგეგმილ ტრენინგებსა და საგრანტო კომპონენტზე, პროგრამის უფროსმა მენეჯერმა, ბ-ნმა ვიქტორ ბარამიამ ისაუბრა. როგორც დამსწრე საზოგადოებამ შეიტყო, საჯარო პოლიტიკის ფორმირებასა და სახელმწიფო სახსრების მართვის ზედამხედველობის მექანიზმებზე ტრენინგების ჩატარების გარდა, დაგეგმილია საბიუჯეტო სახსრების მონიტორინგის საკითხებზე ქართულენოვანი ბროშურის მომზადება (პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფის - PMCG-ის დახმარებით) და ამასთან ერთად, სახელმწიფო სახსრების მართვის ზედამხედველობის არსებული მექანიზმების შეფასების განხორციელება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის საინტერესო იყო ინფორმაცია იმის თაობაზეც, რომ პროექტის ფარგლებში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის გაიცემა 15,000 ევრომდე ოდენობის ოთხი გრანტი სახელმწიფო სახსრების მონიტორინგის კუთხით ცენტრალურ თუ მუნიციპალურ დონეზე სხვადასხვა აქტივობის განსახორციელებლად. ფონდი ხელს



შეუწყობს საზოგადოებრივი ორგანიზაციების პლატფორმის შექმნას, რომლის ფარგლებშიც გაიმართება რეგულარული დისკუსიები ბიუჯეტის გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე. პროექტის ფარგლებში ასევე დაგეგმილია საბიუჯეტო მონიტორინგის წარმომადგენლობითი საკოორდინაციო საბჭოს შექმნა, რომლის დახმარებითაც მოხდება საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საქართველოს ხელისუფლებისათვის მიწოდება.

პრეზენტაციის შემდეგ **ბ-ნი არნე ფლაემკი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების წარმომადგენელი (GIZ)**, დაინტერესდა, გეგმავს თუ არა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი პროექტის გაფართოებას, კერძოდ საბიუჯეტო ხარჯების მონიტორინგთან ერთად ყურადღების გამახვილებას უშუალოდ ბიუჯეტის მომზადების პროცესზე, რათა საწყის ეტაპზევე მოხდეს მოქალაქეთა მოსაზრებების გათვალისწინება. ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პრეზიდენტმა, ქეთევან ვაშაკიძემ განმარტა, რომ ფონდი დიდი ხანია მუშაობს საზოგადოებრივი ორგანიზაციების უნარების გაძლიერებაზე, რითაც, სხვა მიმართულებებთან ერთად, ხელს უწყობს საბიუჯეტო პროცესებში სხვადასხვა ჯგუფის აქტიურ მონაწილეობას და საშუალებას აძლევს მათ, ბიუჯეტის დაგეგმარებისას საკუთარი ინტერესები გამოხატონ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროექტი ბიუჯეტის აღსრულებაზეა ორიენტირებული, ფონდი აცნობიერებს ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობის გაზრდის საჭიროებასაც და გეგმავს დამატებითი სახსრების მოძიებას პლატფორმის საქმიანობის ამ მიმართულებით წარსამართად. როგორც **პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) დირექტორის მოადგილემ, ზაზა ბროლაძემ** განაცხადა, იმ შემთხვევაში, თუ პროექტი გაფართოვდება და ბიუჯეტის მომზადების პროცესს მოიცავს, ეს სათანადო ასახვას ჰპოვებს ტრენინგის მოდულსა და სახელმძღვანელოში.

**ბ-მა ლევან ავალიშვილმა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) წარმომადგენელმა**, ითხოვა დაკონკრეტება, პროექტი მხოლოდ ცენტრალური ბიუჯეტის აღსრულების მონიტორინგს შეეხება, თუ ადგილობრივ დონეზეც გულისხმობს თვითმმართველობის მონიტორინგს. იგი აგრეთვე დაინტერესდა, თუ რა სახის გრანტები გაიცემა პროექტის ფარგლებში. კერძოდ, დააფინანსებს თუ არა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი გრძელვადიან, მდგრად პროექტებს, ან განიხილება თუ არა თანადაფინანსების უზრუნველყოფა ფონდის მხრიდან. ბ-მა ავალიშვილმა აგრეთვე იკითხა, ექნებათ თუ არა მედია საშუალებებს შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ პროექტის ფარგლებში შესაძლებლობების გაძლიერებაზე მიმართულ სხვადასხვა აქტივობებში.

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ თუმცა ჟურნალისტები პროექტის ფარგლებში ჩატარებულ ტრენინგებში ვერ მიიღებენ მონაწილეობას, მედია მაინც მოიაზრება დაინტერესებულ მხარედ და პარტნიორად, მათ შორის იმ საგრანტო ქვეპროექტებში, რომელთაც ფონდის დაფინანსებით საზოგადოებრივი ორგანიზაციები სახელმწიფო სახსრების მონიტორინგისთვის განახორციელებენ. ასევე გამოითქვა იმედი, რომ მედია საშუალებები, ისევე როგორც ბიზნესასოციაციები, ჩაერთვებიან სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების პლატფორმის საქმიანობაში, რადგან ამგვარი თანამშრომლობა მედიას დაეხმარება, უკეთ გაეცნოს სახელმწიფო სახსრების მართვის სფეროში არსებულ მნიშვნელოვან საკითხებს და ისინი ფართო საზოგადოებამდე მიიტანოს. პროექტის მასშტაბთან დაკავშირებით დასმული კითხვის პასუხად აღინიშნა, რომ ღონისძიებათა უმეტესი ნაწილი ცენტრალურ დონეზე სახელმწიფო ხარჯების მონიტორინგსა და ადვოკატირებაზე იქნება მიმართული, თუმცა პროექტი მსგავსი საქმიანობის მუნიციპალურ დონეზე განხორციელების საშუალებასაც იძლევა, კერძოდ იმ გრანტების მეშვეობით, რომელთაც ფონდი გასცემს

ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის. ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის წარმომადგენლებმა იმაზეც ისაუბრეს, რომ არსებული პროექტების თანადაფინანსების შესაძლებლობას ამ ეტაპზე არ გამორიცხავენ, თუმცა, როგორც აღინიშნა, სრულყოფილი ინფორმაცია გრანტების თაობაზე 2015 წლის გაზაფხულზე გახდება ცნობილი. ამასთან, მათ ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეახსენეს, რომ მათ შესაძლებლობა აქვთ შეიტანონ საგრანტო განაცხადი ევრაზიის თანამშრომლობის ფონდში და მოიძიონ დაფინანსება ღია კარის პროგრამის ან თანამონაწილეობა და მონიტორინგი ცვლილებებისათვის პროგრამის ფარგლებში.

**შეხვედრის მიწურულს ქ-ნი ნინო გამსახურდია, რომელიც საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს წარმოადგენდა, მიესალმა ახალი პროექტის დაწყებას და გამოხატა მზადყოფნა საპარლამენტო კომიტეტის სახელით, ითანამშრომლოს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდთან და მის პარტნიორებთან დადებითი შედეგების მისაღწევად.**